



სს „პროგრესიტი ბანკის“ სესხზე მიღებული ავტომობილის
დაზღვევის პირობები

თქვენ ეცნობით სს „პროკრედიტ ბანკის“ ფიზიკური პირის სესხის უზრუნველყოფაში არსებული ავტომობილის დაზღვევის ძირითად პირობებს. აღნიშნული საინფორმაციო ფურცელი არ შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას და იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების ტოლფასი. შესაბამისად, მისი გაცნობა არ წარმოშობს ჩვენს შორის სამართლებრივ შედეგებს.

მზღვეველი ორგანიზაციაა: სს სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“ (204426674)

დამზღვევი ორგანიზაციაა: სს „პროკრედიტ ბანკი“ (ს/კ 204851197)

ანაზღაურების მიმღები (მოსარგებლე) ორგანიზაციაა: სს „პროკრედიტ ბანკი“ (ს/კ 204851197)

მზღვეველის მისამართი: **თბილისი, კოსტავას 67**

მზღვეველის ცხელი ხაზი / ტელეფონი: **(+995 32) 2 505 111**

დაზღვევის ხელშეკრულების სახე

წინამდებარე დოკუმენტი შეიცავს სს „პროკრედიტ ბანკის“ ფიზიკური პირის სესხის უზრუნველყოფაში არსებული ავტომობილის დაზღვევის ძირითადი პირობების მოკლე ინფორმაციას. თქვენ მიერ შესაბამისი დაზღვევის შეძენის შემთხვევაში, გადმოგეცემათ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი “პოლისი”, რომელიც მასში მითითებულ დაზღვევის პირობებსა და ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებთან ერთად, წარმოადგენს დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას.

რა არის დაზღვეული?

თქვენს და სს „პროკრედიტ ბანკს“ შორის სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთული ავტომობილი.

რა ტერიტორიაზე ვრცელდება დაზღვევა?

საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი.

სადაზღვევო თანხა / სადაზღვევო ლიმიტი/ სადაზღვევო ქველიმიტი/ სადაზღვევო პრემია

„სადაზღვევო თანხა“/„სადაზღვევო ლიმიტი“ (სესხის უზრუნველყოფაში არსებული ავტომობილის დაზღვევის შემთხვევაში) - “დამზღვევს/დაზღვეულსა” და “მზღვეველს” შორის სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა, რომელიც შეადგენს დაზღვეული ქონების რეალური საბაზრო ღირებულების 100%-ს. სადაზღვევო ლიმიტი წარმოადგენს „მზღვეველის“ პასუხისმგებლობის მაქსიმალურ, ზღვრულ ოდენობას.

სადაზღვევო ქველიმიტი - სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური შესაძლო ოდენობა ზიანის თითო შემთხვევასთან ან/და ცალკეულ ობიექტთან მიმართებით.

სადაზღვევო პრემია – დაზღვევის ღირებულება, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა მზღვეველს დაზღვევის საფასურად. პრემიის ოდენობა განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით.

რისგან ხარტ დაზღვეული?

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;

სტიქიური მოვლენები (წყალდიდობა, დიდთოვლობა, ჰაერის მასების მოძრაობა 20 მ/წმ.-ზე მეტი სიჩქარით, მეწყერი, ღვარცოფი, სეტყვა, მიწისძვრა).

პრემია და მისი გადახდის წესი/ პოლისის გაცემა

პრემიის ოდენობა გამოითვლება სადაზღვევო ტარიფის მიხედვით, ინდივიდუალურად.

პრემიის გადახდა შეიძლება განხორციელდეს ერთიანად ან განვადებით, რაც განისაზღვრება პოლისით

დაზღვევა ძალაში შედის პოლისის გამოწერის დღის 24:00 საათზე;

დაზღვევის პერიოდი

დაზღვევის პერიოდი იწყება მხარეთა მიერ პოლისის ხელმოწერისთანავე და იწურება პოლისში აღნიშნული პერიოდის დამთავრების თარიღის 24:00 საათზე.

პრემიის (განვადებისას – მისი განწილვადებული შენატანის) გადახდა ხდება „დამზღვევსა“ და „მზღვეველს“ შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების შესაბამისად.

დაზღვევა შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

თუ დამზღვევმა (დაზღვეულმა, მოსარგებლემ) მზღვეველს მიაწოდა არასწორი ინფორმაცია ქონებასთან, სადაზღვევო რისკთან ან ზიანთან დაკავშირებით, ან დროულად არ აცნობა, ან არასრულად/არაზუსტად აცნობა ანკეტა-განაცხადის მონაცემებში ცვლილებების ან რისკის გაზრდის შესახებ;

დამზღვევის წერილობითი მოთხოვნით;

ამ პირობებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

როგორ მოიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას:

დაზღვეულმა მზღვეველს წერილობით ან ცხელი ხაზის 032 2 505 111 მეშვეობით უნდა შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მისი აღმოჩენიდან დაუყოვნებლივ, და დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს მომხდარი ფაქტის დაფიქსირების მიზნით.

რა არ ანაზღაურდება?

დაზღვევას არ ექვემდებარება:

- ავტომობილი, რომელიც იმყოფება გაუმართავ მდგომარეობაში;
- ავტომობილი, რომლის წლოვანებაც აღემატება 20 წელს;
- ავტომობილი, რომლის საბაზრო ღირებულება 2 000 აშშ დოლარზე/6 000 ლარზე ნაკლებია;
- ავტომობილი, რომელიც გამოიყენება რბოლებში მონაწილეობის მიზნით;

- ავტომობილი, რომელიც გამოიყენება კომერციული მიზნებისათვის - (გაქირავება/რენტი/ტაქსი) - გარდა შემთხვევებისა, როდესაც დაზღვეულია ტაქსების დაზღვევით განსაზღვრული პირობებითა და ტარიფით (ცხრილი #3);
- ავტომობილი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქართველოს შსს-ს მიერ.

საერთო გამონაკლისები

საერთო გამონაკლისები მოცემულია ხელშეკრულების 5.5 პუნქტში (და მის ქვეპუნქტებში).

სადაზღვევო ანაზღაურება აგრეთვე არ გაიცემა:

- სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება ნებისმიერი სარემონტო თუ სხვა სახის ხარჯი, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული ავტომობილის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;
- ანაზღაურებას არ ექვემდებარება სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით;
- თუ დაზღვეული ან მოსარგებლე რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), მზღვეველს უფლება აქვს არ აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც დამზღვევი/დაზღვეული შეგნებულად ზრდის ზარალის ოდენობას ან მზღვეველს აწვდის ყალბ ინფორმაციას;
- მზღვეველი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, ვიდრე არ არის გადახდილი პოლისის გრაფიკით განსაზღვრული პრემიის პირველი შენატანი. მზღვეველის პასუხისმგებლობა აგრეთვე ჩერდება მომდევნო შენატანების დაგვიანების პერიოდშიც;
- სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა დაზღვეულის/ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოუდგენლობისას ან/და ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისას.

ანაზღაურების ძირითადი პირობები

- დაზღვეულმა მზღვეველს ცხელი ხაზის მეშვეობით უნდა შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მისი აღმოჩენიდან დაუყოვნებლივ, და დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს მომხდარი ფაქტის დაფიქსირების მიზნით.
- მზღვეველი შემთხვევის რეგულირების პროცესს იწყებს დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ზიანის განაცხადის წარდგენისთანავე. დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს ყველა დოკუმენტი, რომელიც სჭირდება (აუცილებელია) შემთხვევის რეგულირებისათვის.
- მზღვეველი მოსარგებლეზე სადაზღვევო ანაზღაურებას გაცემს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიღებისა და

სადაზღვევო შემთხვევის სერტიფიკატის/შემთხვევის აქტის ორმხრივად ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მზღვეველის ზედამხედველი ორგანო

მზღვეველის ზედამხედველ ორგანოს წარმოადგენს სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. მისამართი: ლევან მიქელაძის ქ. #3; ტელ.: +995 32 223 44 10.